

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 3

ქ. თბილისი

16.01.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი ამილახვარი - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თამჯდომარის მოადგილე;

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;

სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ანა ფირცხალაშვილი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

მაკა ლაშჩია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ანზორ ბერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ვლადიმერ ღლონტი - ფაკულტეტის დეკანი.

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი:

ლალი ხვედელიძე - კანცლერი;

ნათია მიქელთაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან გოლეთიანი - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:

ლუიზა სიხარულიძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ციური ყურშუბაძე - ზოგადსაინჟინრო დეპარტამენტის უფროსი.

ა(ა)იპ - ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი:

პაატა გოგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლევან ქისტაური - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

გოდერძი ბუჩაშვილი - უნივერსიტეტის პრორექტორი;

მაგდა მემანიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;

ეკა ფიფია - ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი;

დალი ოსეფაშვილი - პროფესორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ნინო თანდილაშვილი;

ირაკლი გაბრიაძე;

მანანა მოისწრაფიშვილი;

რუსულან სეთურიძე;

ანა გვრიტიშვილი;

ქრისტინა რზგოვა;

ვასილ კიკუტაძე;

მერაბ ხოხობაძა;

მაია ჭინჭარაშვილი;
გიგი მიშელიძე;
ხათუნა კაჭარავა;
ნინო მახვილაძე;
ანუელა აბულაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:16 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“²⁷² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუდღვა საბჭოს თავმჯდომარე. ამავე პუნქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაკისრა სალომე თოთიბაძეს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“²⁷² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით რადგან

საბჭოს წევრთა ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით არ დგებოდა კვორუმი აღნიშნული საკითხის განსახილველად.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განახლებული დღის წესრიგი.

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოვლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტები სრულ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.1, 2.2, 2.3, 2.5 და 2.6 კომპონენტები შეფასდა როგორც, მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან; მე-5 სტანდარტიც შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი, რადგან 5.2 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი, ხოლო 5.3 კომპონენტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი სტანდარტებთან.

ჯგუფის დასკვნა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, კრისტოფ ტერასმა წარადგინა. მან აღნიშნა, რომ ჯგუფს დადებითი შთაბეჭდილება შეექმნა და ხაზი გაუსვა სამ მნიშვნელოვან ფაქტორს - დოკუმენტაცია მოწესრიგებულად იყო მომზადებული, ადგილობრივი მოთხოვნები გათვალისწინებული იყო და პროგრამის მიზნები ინტეგრირებული იყო უნივერსიტეტის მისიასთან. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშვებული რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც, საჭირო იყო:

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობების უფრო გასაგებად გაწერა.

- კვლევით მეთოდებზე ორიენტირებული საგნებისა და პრაქტიკაზე-ორიენტირებული კურსებს დამატება.
- სილაბუსების გადახედვა და უფრო შინაარსზე ფოკუსირებული მიდგომის გამოყენება, რათა გამხდარიყო უფრო აკადემიური და არა ადმინისტრაციული მექანიზმი. ხელი შეეწყოთ „„ქვევიდან-ზევით““ მიდგომას, გადაეხედათ სილაბუსების ბიბლიოგრაფიისთვის და საჭიროებისამებრ, განეახლებინათ.
- გადასახედი იყო ასევე სწავლების მეთოდებისა და შეფასების ფორმები, რათა მისადაგებოდა სადოქტორო საფეხურის კურსებს.
- შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, უკეთ იყო გასამარტი მოთხოვნები (განსაკუთრებით, კოლოევიუმებსა და პუბლიკაციებზე);
- განეახლებინათ შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმი და უზრუნელეყოთ ყველა შესაბამისი ინფორმაცია.

საბჭოს წევრმა, გიორგი ამილახვარმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, რის მიხედვით გადაწყვიტეს, რა დაეწერათ როგორც რეკომენდაცია და რა გადასულიყო რჩევის ნაწილში, რადგან მისი მოსაზრებით, ზოგიერთი რჩევა უფრო სერიოზულ ხასიათს ატარებდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ რეკომენდაციაში მოხვდა ის, რაც რისკის ქვეშ აყენებდა პროგრამას, ან რაც აკლდა, რაც პროგრამის შედეგს ან ხარისხს აყენებდა ეჭვეჭვეშ - რაც მალევე იყო გამოსასწორებელი და წარმოადგენდა პოტენციურ რისკს. მისი თქმით, პროგრამა მომზადებული იყო სრული ჩართულობით და რჩევები ატარებდა არასავალდებულო ხასიათს.

საბჭოს წევრი, ირაკლი ბურდული დაინტერესდა, რას გულისხმობდნენ ექსპერტები შეფასების გარე მექანიზმის გაუმჯობესებაში.

კრისტოფ ტერასმა უპასუხა, რომ მენეჯმენტის სფეროში შესაძლებელი იყო დიდი ინფორმაციის მიღება - შეფასება საერთაშორისო პარტნიორებისგან, ორგანიზაციებისგან. შესაძლებელი იყო ინფორმაციის გაზიარება, მეთოდოლოგიის სწავლა. ნებისმიერ უნივერსიტეტს შეეძლო მიემართა ასეთი ორგანიზაციებისთვის, მაგალითად EFMD დაასახელა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ფარგლებით შემოსაზღვრა არ იყო სწორი მაშინ, როდესაც დიდი გამოცდილება იყო დაგროვილი სხვა ქვეყნებში. საჭირო იყო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, მით უმეტეს მენეჯმენტის მიმართულებაში.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ იკითხა, ქართული ასოციაციების მხრიდან ან სხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდან შეფასება თუ ჩაითვლებოდა შეფასების გარე მექანიზმად.

ექსპერტმა დაუდასტურა, რომ ფორმალურად ესეც წარმოადგენდა გარე შეფასების ერთ-ერთ სახეს.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ თუ ნახეს ექსპერტებმა დისერტაციები და როგორ შეაფასებდნენ მათ ხარისხს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ირაკლი გაბრიაძემ უპასუხა, რომ ვიზიტის დროს გადახედეს დისერტაციებს, თუმცა სრულად ვერ მოახერხეს წაკითხვა დროითი რესურსებიდან გამომდინარე. ძირითადად სტილი და სტრუქტურა იყო დაცული, ექსპერტებს

ჰეთეროგენური დახმარებულის კუთხით. გათვალისწინებული იყო უცხოული ექსპერტის რეცენზია.

ესპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო თანდილაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა მზად იყო ფუნქციონირებისთვის და რჩევები ემსახურებოდა მის სამომავლო განვითარებას. მან განმარტა, რომ საჭირო იყო კვლევითი მეთოდოლოგიის გამრავალფეროვნება. აღნიშნა, რომ გადადგმული იყო ნაბიჯები, დამატებული იყო სტატისტიკური კურსი, მაგრამ ერთ სალექციო კურსში რთული მოსაქცევი იქნებოდა. ასევე, კარგი იქნებოდა თუ მოხდებოდა კურსებში შეფასების მეთოდების გადახედვა, მაგალითად, ერთი საგნის დასკვნითი გამოცდა ტესტებით ფასდებოდა. მეტი აქცენტი უნდა გაკეთებულიყო კვლევით მუშობაზე.

რჩევებთან დაკავშირებით, ნინო თანდილაშვილმა განაცხადა, რომ ისინი უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებდნენ - მაგალითად, პროგრამის მიზნები და ამოცანები კარგად იყო დაწერილი, მაგრამ პროგრამის დახასიათებაში კონკრეტული მიზნები არ ჩანდა.

საბჭოს თავმჯდომარე სიტყვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გადასცა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს. აღნიშნეს, რომ პროგრამა მისიის შესაბამისი იყო. ავტორიზაციის ფარგლებში გადაამუშავეს სტრატეგია და 15 სადოქტორო პროგრამიდან დატოვეს 7, სადაც ხედავდნენ პერსპექტივას. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამამ გააერთიანა მანამდე არსებული 2 პროგრამა, არსებობდა შესაბამისი რესურსი და გეგმავდნენ არაუმეტეს 3 დოქტორანტის მიღებას.

ექსპერტების რეკომენდაციებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ გადაწყვიტეს 5-ის ნაცვლად 3 პუბლიკაციის მოთხოვნა, თუმცა ჯერ საბჭოზე იყო გასატანი დასამტკიცებლად აღნიშნული ცვლილება. უნივერსიტეტში ინერგებოდა პლაგიატის შესამოწმებელი პროგრამა. დისერტაციების მოკლე ვერსიები იგზავნებოდა უცხოელ რეცენზენტებთან.

ფაულტეტის დეკანმა, ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელება ასრულებდა მნიშვნელოვან როლს რეგიონში, მისით განსაზღვრული იყო, რომ კვლევებით ხელს უწყობდნენ რეგიონულ განვითარებას.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის რეკომენდაცია მიღების პროცესის დეტალიზების შესახებ მისაღები იყო და დაკონკრეტდებოდა ჩატარებული გასაუბრების ფორმატი, გასაუბრების მიზანს წარმოადგენდა კანდიდატის მიღწევების, ცოდნისა და მოტივაციის დადგენა, ფორმალურადაც მოხდებოდა შესაბამისი დეტალური აღწერა. ასევე, გაითვალისწინებდნენ რეკომენდაციას ტრანსფერული უნარების შესახებ, სავარაუდოდ, ეს მოექცეოდა ეკონომეტრიკის მიმართულებაში. ლიტერატურის განახლება მუდმივად ხდებოდა უნივერსიტეტში და ამ რეკომენდაციასაც იზიარებდნენ.

რაც შეეხებოდა კვლევის მეთოდოლოგიაზე ორიენტირებული კურსების განვითარებას - ეთანხმებოდნენ ექსპერტებს, მაგრამ თვლიდნენ, რომ ამ ეტაპზე ჰეთეროგენული - კვლევის ხერხები და მეთოდები, სადაც განხილული იყო თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. ასევე, შემოღებული იყო ახალი, განსაკუთრებული კურსი - გამოყენებითი სტატისტიკა SPSS ელემენტებით, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა კვლევისთვის.

შეფასების ნაწილთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების კურსში, დასკვნით გამოცდაზე, ერთ-ერთ კომპონენტად გათვალისწინებული იყო ტესტი, რაც ექსპერტების რეკომენდაციით, ჩანაცვლდებოდა ადეკვატური მეთოდით.

გარე მექანიზმის შესახებ რეკომენდაციაზე, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ არსებული წესის შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭოს ჰქონდა უფლებამოსილება პროგრამა წარდგენამდე გაეგზავნა გარე შეფასებაზე. ამ შემთხვევაში, პროგრამა შეფასებული იყო ეთერ ხარაიშვილის მიერ, რომელიც თსუს ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი იყო, ამის შემდეგ პროგრამა გავიდა აკადემიურ საბჭოზე და დამტკიცდა არსებული სახით.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება იყო თუ არა ძველ და ახალ პროგრამას შორის.

უნივერსიტეტის წარმომადგენლელმა უპასუხა, რომ მისანიჭებული კვალიფიკაცია არ იცვლებოდა, პროგრამა ფორმალურად ახალი იყო, თუმცა ჰქონდა ტრადიცია. გადაწყვიტეს, აკადემიური პერსონალის სწორად გამოყენება, გაერთიანების გადაწყვეტილებით, პროგრამის მდგრადობაც უზრუნველყოფილი იქნებოდა, შინაარსიც და ფინანსურადაც მომგებიანი გახდებოდა უნივერსიტეტისთვის. კურსების დიდი ნაწილის სათაურები თანხვედრაში იყო, დაემატა 2 კურსი და აპირებდნენ კიდევ ერთის, ეკონომეტრიკის, დამატებას. რადიკალური განსხვავებები არ იყო პროგრამებს შორის, უბრალოდ გაერთიანდა რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ წინაპირობად მითითებული იყო ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, ხოლო უცხოელი სტუდენტის შემთხვევაში, ქართული ენის ცოდნა A2 მოითხოვებოდა. მან იკითხა, ქართულენოვან პროგრამას როგორ დაძლევდა უცხოელი სტუდენტი A2 დონის ცოდნით ქართულ ენაში.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ამის შესახებ გადაწყვეტილება შეცვლილი იყო და ამჟამად მოითხოვებოდა B1. პროგრამაში არ იყო ასახული ეს ინფორმაცია, რადგან უფრო ადრე იყო შემოტანილი აკრედიტაციაზე, ვიდრე გადაწყვეტილება მიიღეს ენის დონის ცვლილებასთან დაკავშირებით. ასევე, უნივერსიტეტი სთავაზობდა სტუდენტებს დამატებით მომსახურებას. გარდა ამისა, უცხოელი სტუდენტი ამ პროგრამაზე არ ჰყავდათ.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური, დაინტერესდა თუ ხდებოდა პირველი და მეორე კოლოკვიუმის შეფასება. უნივერსიტეტის წარმომადგენლელმა უპასუხა, რომ ეს იყო დისერტაციის ნაწილი და შეფასება არ ხდებოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ დოკუმენტებში არ იყო წარმოდგენილი არც პროგრამისა და არც ფაკულტეტის ბიუჯეტი, მას აინტერესებდა, რამდენად იყო პროგრამა ფინანსურად გამყარებული, მით უმეტეს, როდესაც სადოქტორო პროგრამები ზოგადად არამომგებიანი იყო და პროგრამაზე 3 სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ მოთხოვნა დიდი იყო პროგრამაზე, თუმცა შეგნებულად არ იღებდნენ მეტს. 3 სტუდენტის ხარჯით იფარებოდა

მინიმალური აუცილებელი ხარჯები. რაც შეეხებოდა კვლევებისა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერას, გათვალისწინებული იყო 40%-იანი ზედნადების ხარჯი. ფაკულტეტი იყო მაღალშემოსავლიანი, მონაწილეობდა საერთო საუნივერსიტეტო ბიუჯეტის ფორმირებაში და აქედან იქმნებოდა რესურსი.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ გარე მობილობის წინაპირობებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მობილობა ხორციელდებოდა დადგენილ ვადებში, აკადემიური საბჭო ამტკიცებდა კონტინგენტს, ფასდებოდა პროგრამასთან შესაბამისობა და სამეცნიერო კომპონენტი.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხელაშვილმა, კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, გაცვლით პროგრამებს თუ ახორციელებდნენ და რა ნაბიჯები იყო გადადგმული ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

ანზორ ბერიძემ უპასუხა, რომ დოქტორანტები მიდიოდნენ ესპანეთის, პოლონეთის უნივერსიტეტებში, უნივერსიტეტი მხარს უჭერდა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, ხდებოდა სტუდენტების დაფინანსება, ამისთვის ფაკულტეტს გამოყოფილი ჰქონდა 11 000 ლარი. არსებული მდგომარეობით, მსურველთა რაოდენობას არ გადაუჭარბებია დადგენილი რესურსისთვის. თუმცა თუ მოთხოვნა გაიზრდებოდა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა ამ ხარჯებსაც. გარდა ამისა, პროფესორებს სთავაზობდნენ ინგლისურენოვან კურსებს. ასევე, რიგ სასწავლო კურსებს ახორციელებდნენ ინგლისურ ენაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებელო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0


გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 1 წელი. ასევე, საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ

პროგრამაზე 1 წლის განმავლობაში განხორციელდეს მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც, გადამოწმდება თუ რამდენად შესრულდა მიღებული რეკომენდაციები.

16:38 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. სხდომა განახლდა 16:52



2. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოცლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სატრანსპორტო ლოგისტიკა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისამიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სატრანსპორტო ლოგისტიკის მაგისტრი, 040704
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები სრულ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. პირველი სტანდარტიც შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან მიუხედავად იმისა, რომ 1.2 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. მეორე სტანდარტი კი მეტწილად შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.3, 2.4 და 2.6 კომპონენტები შეფასდა როგორც, მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა მოისწრაფიშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშვებული რეკომენდაციები:

- საჭირო იყო, დაწესებულებას დაედგინა პროგრამისთვის სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის და განეხორციელებინა სწავლის შედეგების შეფასების შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება;
- სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა დაზუსტებულიყო სასწავლო კურსის სპეციფიკის, კერძოდ სირთულის, მნიშვნელოვნების, ასათვისებელი მასალის და სწავლების ფორმების გათვალისწინებით;
- საჭირო იყო, დაკონკრეტებულიყო პრაქტიკაზე გასაგზავნი პირების რაოდენობა, კრედიტების/საათების რაოდენობა და პრაქტიკის მიზანი;

- მომხდარიყო შეფასების სისტემის დიფერენცირება სასწავლო კურსების სპეციფიკის მიხედვით.

ექსპერტმა დაამატა, რომ საუკეთესო პრაქტიკად აღინიშნა ფსიქოლოგის უფასო კონსულტაცია.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს და აღნიშნეს, რომ ყველა რეკომენდაციას ეთანხმებოდნენ და შეასრულებდნენ. პრაქტიკასთან დაკავშირებით არსებობდა სირთულე, რომლის დაძლევასაც ცდილობდნენ.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რა საჭიროება ჰქონდათ სტუდენტებს ფსიქოლოგის კონსულტაციის.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ნათია მიქელთამემ უპასუხა, რომ უნივერსიტეტი ზრდიდა მეზღვაურებს და როდესაც პირველად აღმოჩნდებოდნენ საზღვაო პრაქტიკაზე, ხშირად ექმნებოდათ დისკონფორტი და პრობლემები, ასეთ დროს მათ შეეძლოთ ფსიქოლოგის კონსულტაციის მიღება. გარდა სტუდენტებისა, ამ სერვისს იყენებდნენ კურსდამთავრებულებიც. გარდა ამისა, საბაკალავრო პროგრამაში ჩადებული იყო ფსიქოლოგის კურსები, სტრესის მართვა, ლიდერობა, გუნდში მუშაობა და მსგავსი საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა, რამდენად მოგებიანი იყო პროგრამა.

უნივერსიტეტის კანცლერმა, ლალი ხვედელიძემ უპასუხა, რომ რაოდენობიდან გამომდინარე პროგრამა წამგებიანი არ იყო, თუმცა არც მოგებაზე გადიოდა. უნივერსიტეტს სწავლის საფასურის გარდა, ჰქონდა რეზერვები და დამატებითი შემოსავლები - მაგალიათად მეზღვაურთა მომზადების ცენტრის სახით, სადაც ხორციელდებოდა მეზღვაურების სერტიფიცირება. მინიმალური კურსები 15 დღის ხანგრძლივობით ტარდებოდა, მაქსიმალური 2.5 თვე.

ქეთევან ქოქრაშვილმა კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რა იყო გაკეთებული ინტერნაციონალიზაციის კუთხით არსებული მდგომარეობით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთევან გოლეთიანმა უპასუხა, რომ მუშაობა დაწყებული იყო, მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ჩერნიგორის უნივერსიტეტთან, ასევე პრაღაში მონათესავე პროგრამასთან. შეთანხმებული იყო კურსები, რაც ინგლისურ ენაზე წაიკითხებოდა. სექტემბრიდან იგეგმებოდა გაცვლითი პროგრამა გეტმანის უნივერსიტეტთან და სტუდენტები მიიღებდნენ მონაწილეობას კონკურსში. გარდა ამისა, ისინი მონაწილეობდნენ კონფერენციებშიც.

გიორგი ამილახვარი დაინტერესდა, საბაკალავრო პროგრამა თუ ხორციელდებოდა იმავე მიმართულებით და რა განსხვავება იქნებოდა ამ სპეციალობის ბაკალავრსა და მაგისტრს შორის.

ქეთევან გოლეთიანმა უპასუხა, რომ ჰქონდათ საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვის პროგრამა, რომელიც ტრანსპორტის ბაკალავრის კვალიფიკაციას ანიჭებდა. იქ 70 - მდე სტუდენტი სწავლობდა. რაც შეეხებოდა ლოგისტიკის სპეციალისტებს, საქმდებოდნენ პორტში, რკინიგზაში, საპარტო გადაზიდვებზე, მენეჯერულ რგოლში. ბაკალავრს კი შეეძლო შეესრულებინა ფართო სამუშაო, დაეთვალა გადატვირთვის ოპერაციები.

გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმებოდა უნივერსიტეტის წარმომადგენელს და მოითხოვა დასაბუთება, რატომ იყო საჭირო მაგისტრის ხარისხი, როდესაც ბაკალავრსაც შეეძლო ამ სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელება.

ქეთევან გოლეთიანმა განაცხადა, რომ ბაკალავრი ვერ შეძლებდა მართვის დონეზე გადაწყვეტილებების მიღებას, ტვირთების მოზიდვას, კონტრაქტის გაფორმებას, სტუდენტი სწავლობდა სტრატეგიულ მენეჯმენტს, ორგანიზაციის მართვას და იმენდა მენეჯერულ უნარებს. საბაკალავრო დონე კი ითვალისწინებდა კომერციულ საქმიანობას, მაგრამ არა მმართველ რგოლში გადაწყვეტილების მიღებას.

აკრედიტაციის ექსპერტმა, მანანა მოისწრაფიშვილმა დაამატა, რომ ამის გარდა, არსებობდა ლოგისტიკური კომპლექსები, რაც საჭიროებდა ეფექტურ დაგეგმარებას, კვლევას, მართვას, რაც არ შეეძლო ბაკალავრს, გამომდინარე დონის კომპეტენციებიდან და ეს მთელ მსოფლიოში მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენდა. ლოგისტიკა იყოფოდა ორ მიმართულებად, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტექნიკური ლოგისტიკის კუთხით და ბაკალავრი ვერ შეძლებდა ლოგისტიკური ჯაჭვების დაგეგმარებას, ინვაციური მეთოდების შემუშავებას, ჰაბების ამუშავებას, კლასტერების მართვას და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა იკითხა, თუ თანამშრომლობდნენ ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ თანამშრომლობდნენ კონსულტაციების დონეზე, კონფერენციებში მონაწილეობდნენ და იყენებდნენ სახელმძღვანელოებს, რაც გამოცემული იყო ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ ყველა საგანი 5-კრედიტიანი იყო და საჭირო იყო დიფერენცირება. ასევე, გამოთქვა დანაკლისი, რომ პროგრამა არ ითვალისწინებდა აკადემიურ წერას. გარდა ამისა, სწავლის შედეგები იყო დასახვეწი, რადგან თითოეულ კომპეტენციაში ჩამოწერილი იყო 10-13 პუნქტი.

დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ მოსაზრებებს, აღნიშნეს, რომ აკადემიური წერა ისწავლებოდა საბაკალავრო საფეხურზე, ხოლო ნაშრომის გაფორმების წესს ასწავლიდნენ კვლევის მეთოდების კურსში.

სერგო ჭელიძემ ასევე აღნიშნა, რომ სილაბუსში ძირითად ლიტერატურაში შეხვდა რუსულენოვანი მასალები, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ეს იქნებოდა ტექნიკური შეცდომა, რადგან რეალურად არ იყენებდნენ რუსულენოვან წიგნებს. რაც შეეხებოდა კრედიტების რაოდენობას, ამაზე იმსჯელეს და დატვირთვას შეესაბამებოდა, თუმცა ამ ეტაპზე მიმდინარეობდა მონიტორინგი, სტუდენტებისგან იღებდნენ ინფორმაციას,

თუ რამდენად დაძლევადი იყო სასწავლო მასალა, რა დროს ხარჯავდნენ და ა.შ. ამ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, კიდევ მოხდებოდა შესაბამისი მოდიფიცირება.

საბჭოს წევრებმა იკითხეს, საპატიო გადაზიდვებს თუ მოიცავდა პროგრამა და საერთაშორისო სატრანსპორტო ხელშეკრულება ყველა მიმართულებით თუ ისწავლებოდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ პროგრამა ითვალისწინებდა ყველა მიმართულებას და უფრო ორიგინტირებული იყო პროცესების მართვაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 10 დეკემბრიდან.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვრა 1 წელი. ამასთან, საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ პროგრამაზე 1 წლის განმავლობაში განხორციელდეს მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც, გადამოწმდება თუ რამდენად იქნა შესრულებული აღნიშნული რეკომენდაციები.

17:23 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა, სხდომა განახლდა 17:39 საათზე.

3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ნაცვალებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნაცვალებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებული კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინჟინერის ბაკალავრი, 04
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ნაცვალებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები სრულ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.2 და 2.3 კომპონენტები შეფასდა როგორც, მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მანანა მოისწრაფიშვილმა წარადგინა. მან საბჭოს წევრებს გააცნო რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსების წინაპირობების ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფის მიზნით საჭირო იყო სასწავლო კურსების წინაპირობების დაზუსტება. მაგ. სასწავლო კურსებისთვის „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა“, „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკა“, „მექანიზმებისა და მანქანების თეორია“, „პნევმო და ჰიდროავტომატიკის საფუძვლები“ და სხვ.
- სასწავლო კურსების „მანქანათა ნაწილები“ და „მანქანების და მექანიზმების თეორია“ გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) კორექტირება მათი შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით, რაც გააუმჯობესდა პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებს.

➤ აღმოსაფხვრელი იყო ზედმეტი ჩანაწერი მათემატიკის, ზოგადი ფიზიკის და ზოგიერთ სხვა სილაბუსებში, სადაც გრაფაში „შესაბამისობა STCW სტანდარტებთან“ მითითებული იყო STCW კონვენციის მუხლები, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული კონვენცია არ იყო წარმოდგენილ პროგრამასთან კავშირში.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გადასცა სიტყვა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნავსადგურები და ტერმინალები ბათუმის გარდა სხვა ქალაქებშიც ჰქონდათ და სტუდენტები მიდიოდნენ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკაზე. ჰქონდათ კარგი ურთიერთობა დამსაქმებლებთან. ანაკლიას სპეციალურად გამოყოფილი ადამიანი ჰყავდათ, ვისთანაც ურთიერთობდნენ. რეკომენდაციებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ეთანხმებოდნენ ექსპერტებს და გაითვალისწინებდნენ, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და თითქმის გამოსწორებული იყო ყველა შენიშვნა, გადაიხედა კრედიტების მოცულობა და გასწორდა ტექნიკური უზუსტობები.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა რამ გამოიწვია ჩარიცხვის მაჩვენებლის გაზრდა სამჯერ 2017 წელს წინა წლებთან შედარებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მობილობით გადმოვიდნენ სტუდენტები, ახალი სპეციალობა იყო და სტაჟირების კომპონენტი ჰქონდათ გათვალისწინებული. დასრულების შემდეგ ანაზღაურება 1250 ლარს შეადგენდა ხელზე, რაც კარგი შემოსავალი იყო. 6-თვიანი სტაჟირების განმავლობაში იღებდნენ ხელფასს, უზუნველყოფილი იყვნენ საცხოვრებლითა და კვებით. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სტუდენტები სრულად იყვნენ დაფინანსებული საბაკალავრო საფეხურზე. ასევე მიმდინარეობდა მუშაობა საერთაშორისო პროგრამებზე, სადაც მსოფლიოს 4 ქვეყანაში გაუშვებდნენ სტუდენტებს სტაჟირებაზე, ანაკლიას პროექტის დაფინანსებით.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ დასახვეწი იყო სწავლის შედეგები, რადგან 17-18 პუნქტად იყო გაწერილი, რაც ძალიან ბევრი იყო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე მიმდინარეობდა მუშაობა. განსაკუთრებით ავტორიზაციის შემდეგ გამოჩნდა სწავლის შედეგების დახვეწის აუცილებლობა, უბრალოდ ჯერ ვერ მოესწრო დასრულება. მან დაამატა, რომ ურთიერთობდნენ რიგის საზღვაო აკადემიასთან და სურდათ საერთო სამაგისტრო პროგრამის შემუშება ნავსადგურებისა და ტერმინალების ტექნიკური მენეჯმენტის ხაზით.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 4-ივე კურსდამთავრებული დასაქმებული იყო, ასევე მუშაობას იწყებდნენ მე-2, მე-3, მე-4 კურსელები. უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა კარიერული განვითარების სამსახური.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 10 იანვრიდან.

დაწესებულებას დაევალა შესრულებული რეკომენდაციების შესახებ ანგარიშის წარმოდგენა ცენტრში 6 თვის განმავლობაში.

17:51 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა, სხდომა 18:04 საათზე განახლდა.

4. ა(ა)იპ - ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი, მესამე და მეხუთე სტანდარტები სრულ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. მე-4 სტანდარტი, გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ 4.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, საბოლოოდ შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი მოთხოვნებთან. ხოლო მეორე სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.2, 2.3, 2.6 კომპონენტები შეფასდა როგორც, მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ვასილ კიკუტაძემ წარმოადგინა. ჯგუფის მოსაზრებით, საჭირო იყო:

- დაკორექტირებულიყო „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ სასწავლო კურსის წინაპირობა და მის წინაპირობად განსაზღვროდა პროგრამის სასწავლო ბადიდან შესაბამისი სასწავლო კურსი. (მაგალითად: მათემატიკა 2 (კალკულუსი));
- პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებულიყო „ბიზნეს სამართალი“ და „სტრატეგიული მენეჯმენტი“, რაც ხელს შეუწყობდა პროგრამით გათვალისწინებული მიზნების უკეთ მიღწევას;

- პროგრამის სასწავლო ბადის შესაბამისად გასწორებულიყო კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული კრედიტების მოცულობა, კერძოდ: მარკეტინგის საფუძვლები მითითებული იყო - 12 კრედიტი, მმართველობითი აღრიცხვა - 5 კრედიტი, საერთაშორისო ბიზნესი - 12 კრედიტი, ხოლო პროგრამის სასწავლო ბადეში ეს დისციპლინები იყო 6 კრედიტიანი;
- პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურის განახლება (მაგალითად, ბიზნესის საფუძვლები, საჯარო ფინანსები, ორგანიზაციული ქცევა, რისკების მენეჯმენტი, პროექტის მართვა, მარკეტინგ-მენეჯმენტი, ეკონომიკის პრინციპები);
- „საბაკალავრო ნაშრომში“-ს შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე განხორციელდეს მასზე გამოყოფილი 6 კრედიტის გაზრდა 10 კრედიტამდე და ამავე სილაბუსში ნაშრომის შესრულების ტექნიკური პარამეტრების დაკონკრეტება;
- „საწარმოო პრაქტიკის“ სილაბუსში მითითებული ჩანაწერის პრაქტიკის ანგარიშის მოცულობაზე - „არაუმეტეს 2 გვერდისა“, დაკორექტირებულიყო როგორც „არაანაკლებ 2 გვერდისა“, რაც სამუალებას მისცემდა სტუდენტებს სრულყოფილად აესახა პრაქტიკის ანგარიშში იმავე სილაბუსით გათვალისწინებული საკითხები;
- განსაზღვრულიყო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედური შეფასებისთვის ცალკეული სავალდებულო კომპონენტის დაკონკრეტების გარეშე;
- დაწესებულებამ პროგრამის მდგრადობის გაზრდის მიზნით, საჭირო იყო გრძელვადიან პერიოდში პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა;

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ლევან ქისტაურმა განაცხადა, რომ წინაპირობასთან დაკავშირებით შენიშვნა სწორი იყო და ასეც იყო გათვალისწინებული პროგრამაში, უბრალოდ არ იყო მითითებული სტატისტიკა, როგორც წინაპირობად, რეალურად ასეც ხდებოდა და პრობლემას არ წარმოადგენდა შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

შიზნესამართალი და სტრატეგიული მენეჯმენტი - არჩევით კურსებს წარმოადგენდა და მისაღები იყო მათი გადატანა სავალდებულო კომპონენტში, უბრალოდ მოსაფიქრებელი იქნებოდა, როგორ დააბალანსებდნენ, ჰქონდათ რამდენიმე სამუშაო ვარიანტი, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილება არ იყო მიღებული. გასწორებული იყო ტექნიკური შეცდომა სილაბუსთან დაკავშირებით. ასევე გაითვალისწინებდნენ რეკომენდაციას ლიტერატურის განახლების შესახებ, ნაწილი ელექტრონული სახით იყო ხელმისაწვდომი, ნაწილზე კი მოთხოვნა უკვე გაკეთებული იყო.

ასევე, იზიარებდნენ რეკომენდაციას საბაკალავრო ნაშრომის შესახებ, მოსაფიქრებელი იქნებოდა როგორ მოხდებოდა ამის ადმინისტრირება. რაც შეეხებოდა პრაქტიკას, ანგარიშის გარდა აწარმოებდნენ პრაქტიკის დღიურს, სადაც დეტალურად იყო გაწერილი სტუდენტის აქტივობა.

შეფასების კომპონენტთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა, პაატა გოგიშვილმა განმარტა, რომ ამ სისტემაზე დიდხანს მუშაობდნენ, კონსულტაციები ჩაატარეს სტუდენტებთან და კარგად მუშაობდა. შუალედური შეფასება ჩაშლილი იყო 3 კომპონენტად - პრეზენტაცია, ყოველკვირეული აქტივობა და შუალედური გამოცდა. თითოეულში მინიმალური კრიტერიუმი იყო დადგენილი, მაგრამ ამ სკმიდან სავალდებულო კომპონენტი არცერთი არ იყო, სტუდენტს შეეძლო დაეგროვებინა კულები

სამივეგან და გასულიყო დასკვნით გამოცდაზე. მისი თქმით, დიდი მსჯელობის და გამოცდილების შემდეგ მივიღნენ შეფასების არსებულ სისტემასთან, რის გამოც, ვერ დაეთანხმებოდნენ ექსპერტებს რეკომენდაციაში.

საბჭოს წევრი, გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა გადანაწილებული ქულებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 10 ქულა იყო პრეზენტაციებისთვის, 20 ყოველკვირეულ გამოკითხვებისთვის და 30 შუალედურ გამოცდაზე მოდიოდა.

ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ სილაბუსში რეფერატს ეწერა სავალდებულო სტატუსი, ამის ცვლილებას ეხებოდა რეკომენდაცია.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ ჰენიშვნები ზოგიერთ სილაბუსთან დაკავშირებით:

ბიზნეს სამართლის სილაბუსი გადასამუშავებელი იყო, რადგან მოიცავდა ისეთ ჩანაწერებს, რისი სწავლებაც არ შეიძლებოდა - მისი თქმით, „ბიზნეს კერძო სამართლის ცნება, არსი“ ასეთი რამე არ არსებობდა.

სანივთო სამართლის მთელი დარგი შედიოდა ერთ ლექციაში. საკონტრაქტო სამართალი - მოიცავდა ხელშეკრულებების დადების ძირითად პრინციპებს. სამეწარმეო სამართალი წარმოადგენდა სხვა დარგს, გაკოტრების სამართალში, შრომით ხელშეკრულებასა და დაზღვევის სამართალში - ლიტერატურად მითითებული იყო ერთადერთი წიგნი. ამ წიგნით ვერ მოხერხდებოდა ვერც გაკოტრების სამართალის, ვერც ხელშეკრულების პირობებისა და მით უმეტეს ვერც სანივთო სამართლის სწავლება.

მას შენიშვნები ჰქონდა სხვა სილაბუსებთან დაკავშირებითაც, სადაც ასევე ცუდი მდგომარეობა იყო - ინვესტიციები და პორტფელის მართვა - არეულად იყო წარმოდგენილი, რას ასწავლიდნენ, თუ გულისხმობდნენ შიდა ინვესტირების მექანიზმებს, მაშინ სხვანაირად უნდა ყოფილიყო კურსი აგებული, თუ ასწავლიდნენ გარე მექანიზმებს, მაშინ უნდა შემოსულიყო ისეთი საკითხები, როგორიცაა კაპიტალის ბაზარი, ამ შემთხვევაში კი ეს არეული იყო ერთმანეთში. ასეთივე სიტუაცია იყო საბანკო საქმის სილაბუსშიც - ძირითადად ყურადღება გამახვილებული იყო კერძო კომერციული ბანკების საქმიანობაზე, თუმცა შემოდიოდა საჯაროს ელემენტებიც, მაგალითად, ეროვნული ბანკი, როგორც ძირითადი რეგულატორი, ამ შემთხვევაში საზედამხედველო ორგანიზაციის ფუნქციებიც უნდა ჩადებულიყო. ასევე, პროგრამაში არ იყო ისეთი საგნები, როგორიცაა - კორპორაციული მენეჯმენტი, ფინანსური ინვესტიციები (ნაწილობრივ იყო წარმოდგენილი), ფასიანი ქაღალდები და ფინანსური ბაზრები. ირაკლი ბურდულის მოსაზრებით, ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტს ეს უნარები უნდა ჰქონოდა. მან განაცხადა, რომ ეს სილაბუსები ახლიდან იქნებოდა დასაწერი, ყურადღება უნდა მიქცეოდა ლიტერატურასაც, რადგან ზოგიერთი წიგნის საკითხები სილაბუსის თემებს არ შეესაბამებოდა.

ირაკლი ბურდულს შენიშვნები ჰქონდა სწავლების მეთოდებთან დაკავშირებითაც - თითქმის ერთი და იგივე იყო სწავლებისა და შეფასების მეთოდები (საბანკო საქმე და ბიზნეს სამართალიც კი ერთი და იგივე მეთოდებს იყენებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სპეციფიკა ჰქონდათ).

ირაკლი ბურდულისთვის გაუგებარი იყო, როგორ შეიძლებოდა კვალიფიკაციის მინიჭება, როდესაც არ ისწავლებოდა ფინანსური ბაზრები, გარე დაფინანსების საშუალებები და ა.შ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თვითონ არ იყო ბიზნეს სამართლის სპეციალისტი, მაგრამ მანამდე ეს კურსი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული პროგრამაში და დაამატეს. მიზანი იყო, კურსდამთავრებულს ჰქონოდა წარმოდგენა ბიზნესის კორპორაციული სამართლის კუთხით, სცოდნოდა მინიმუმი, რისთვის მიექცია ყურადღება და სად შეძლებდა, საჭიროების შემთხვევაში, ცოდნის გაღრმავებას. სტუდენტს უნდა ჰქონოდა წარმოდგენა ორგანიზაციულ სმართლებრივ ფორმებზე, წესებზე, ამიტომ შეიტანეს ეს საგანი. მისთვის გასაგები იყო, რომ საბჭოს წევრი თვითონ საგანს კი არ აკნინებდა, არამედ მის კარგად წარმოჩენაზე საუბრობდა, მაგრამ აღნიშნა, რომ მათი მიდგომით, ზოგად დონეზე უნდა ესწავლებინათ. რაც შეეხებოდა საბანკო საქმეს, ის სრულად იყო ორიენტირებული ბანკებზე. ზედამხედველობა ერთერთი ფუნქცია იყო და შესაბამისად იყო ასახული სილაბულში.

ფინანსურ ბაზრებზე, გადაწყდა, ესწავლებინათ არა ცალკე კურსად, არამედ საგნებში ყოფილიყო ჩაშლილი და მაგალითად ინვესტიციების საფუძვლებშიც ეხებოდა ამ საკითხებს სტუდენტი. ბაზრის ანალიტიკოსი კურსდამთავრებული ვერ გახდებოდა, თუმცა იმჯელებდნენ მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ დამსაქმებლებთან და მათი მოთხოვნები გაითვალისწინეს (კომერციული ბანკები, ასოციაციები, საწარმოები). მან აღნიშნა, რომ ფასიანი ქაღალდები არ იყო მიმზიდველი.

ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ დიდი ორგანიზაციები უკვე უშვებდნენ მილიონობით თანხაზე ობლიგაციებს და მიმზიდველი გახდებოდა, რადგან ვითარდებოდა ბაზარი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ადრე ცალკე ჰქონდათ მენეჯმენტისა და ფინანსების პროგრამები, სადაც დეტალურად იყო ჩაშლილი ფინანსების საკითხები, მაგრამ ეს ახალი პროგრამა წარმოადგენდა ძველების ჩანაცვლებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ ბიზნესის სამართალზე ეთანხმებოდა ირაკლი ბურდულს, მაგრამ რადგან ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციას ანიჭებდა პროგრამა, მინიმალური მოცემულობით შესაძლოა ამ სახით ყოფილიყო წარმოდგენილი კურსი, თუმცა გაუმჯობესებას წინ არაფერი ედგა.

ირაკლი ბურდულმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ საკითხები და ლიტერატურა ერთმანეთს არ შეესაბამებოდა, იგივე ეხებოდა ინვესტიციებს, ლიტერატურაში მითითებული იყო 2001 წლის წიგნი, როდესაც მას მერე შეცვლილი იყო შინაარსობრივად.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი სააკრედიტაციო მასალების, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებების ურთიერთშეჯვერების საფუძველზე, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა აკრედიტაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებით მიზანშეწონილი იყო შეფასებულიყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3² პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“²⁷⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

18:49 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. სხდომა განახლდა 19:08 საათზე.

5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოვლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ჟურნალისტიკის ბაკალავრი, 0703
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად შეფასდა: ხუთივე სტანდარტი სრულ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, მხოლოდ 3.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, თუმცა არსებული წესის მიხედვით, ამას მთლიანი სტანდარტის შეფასებაზე გავლენა არ მოუხდენია.

ექსპერტებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ჯგუფის მიერ შემუშვებული რეკომენდაციები:

➤ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად არ სარგებლობდნენ საერთაშორისო მობილობის პროგრამით და საერთაშორისო კონფერენციებით. უნდა გაზრდილოყო გაცვლითი პროგრამებით დაინტერესებულ სტუდენტთა რიცხვი, ამასთანავე, შავი ზღვის უნივერსიტეტი საერთაშორისო სტატუსს ატარებდა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ინტენსიური კონტაქტი ხელს შეუწყობდა სტუდენტების საერთაშორისო დონის სპეციალისტებად ჩამოყალიბებას. თავმჯდომარემ სიტყვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გადასცა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მაგდა მემანიშვილმა აღნიშნა, რომ იზიარებდნენ რეკომენდაციებს, დაწყებული იყო მუშაობა გაცვლით პროგრამებზე ლომის უნივერსიტეტთან. მან განმარტა, რომ პროგრამა იყო ახალი, 2018 წელს ჰყავდათ პირველი

კურსდამთავრებულები და ძირითადად, გაცვლითი პროგრამებით ინტერესდებოდნენ მე-3-მე-4 კურსელი სტუდენტები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, დალი ოსეფაშვილმა დაამატა, რომ მიმდინარეობდა მოლაპარაკება ერაზმუსის ფარგლებში, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის ვროცლავისა და ბუღაპეშტის პროგრამებზე. ასევე, ურთიერთობას ამყარებდნენ ვილნიუსის, რუმინეთის, ჩეხეთის უნივერსიტეტებთან.

საბჭოს წევრი, სერგო ჭელიძე დაინტერესდა როგორ ხდებოდა ჯგუფური საბაკალავრო პროექტის შეფასება.

მაგდა მემანიშვილმა უპასუხა, რომ 75%, რაც ეთმობოდა შუალედურ შეფასებას, საკმარისი იყო. ასევე, ყოველკვიურად სტუდენტი წარმოადგენდა სამუშაოს შესახებ ანაგრიშს, დიფერენცირება ხდებოდა ამ ნაწილის გათვალისწინებით. 25 % კი რაც ეთმობოდა ჯგუფურ მუშაობას, წარმოადგენდა საერთო ქულას.

საბჭოს წევრმა, გიორგი ამილახვარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ რჩევები, რაც საკმაოდ დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი, ზოგ შემთხვევაში ატარებდა რეკომენდაციის დატვირთვას, შესაძლებელი იყო დაწერილიყო რეკომენდაციის სახით, რასაც შეეძლო შეფასება საბოლოო შეფასება. ასევე, დაამატა, რომ საუკეთესო პრაქტიკაში ექსპერტებს აღნიშნული ჰქონდათ ისეთი საკითხები, რაც არ წარმოადგენდა გამონაკლისს - პრაქტიკის კომპონენტი, უცხო ენების კურსი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ხათუნა კაჭარავამ განმარტა, რომ პროგრამა ორიენტირებული იყო პრაქტიკაზე, უურნალისტიკაში ძალიან რთული იყო პრაქტიკული ნაწილის განხორციელება უნივერსიტეტის ფარგლებს მიღმა, რადგან მედიასამუალებებს არ ჰქონდათ საშუალება, დაეთმოთ მეტი დრო სტუდენტებისთვის. ამ შემთხვევაში კი დიდი დრო ეთმობოდა მედიაორგანიზაციებისგან სტუდენტებთან მუშაობას და შემოთავაზებული იყო პრაქტიკის გავლის დიდი არჩევანი.

რაც შეეხებოდა უცხო ენების გამოტანას საუკეთესო პრაქტიკის ნაწილში, მან აღნიშნა, რომ უცხო ენების ფართო სპექტრს სთავაზობდნენ უნივერსიტეტში (გერმანული, ესპანური, რუსული, პოლონური, თურქული), რაც ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს, მითუმეტეს, როდესაც უნივერსიტეტს საერთშორისო სტატუსი ჰქონდა. ექსპერტების რეკომენდაციაც იქიდან გამომდინარეობდა, რომ საშუალება იყო და არ იყენებდნენ სტუდენტები.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ დასაქმების მაჩვენებლით.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ 17 კურსდამთავრებულიდან 10 დასაქმებული იყო პროფილით - ტელევიზიაში, ონლაინ პორტალებზე, PR-ში.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, გამოთქვა მოსაზრება, რომ ყველაზე დიდი პრობლემა უურნალისტებს ჰქონდათ ქართულ ენაში და იკითხა რატომ იყო დათმობილი ქართული ენის სწავლებისთვის სულ 5 კრედიტი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მაგდა მემანიშვილმა აღნიშნა, რომ მეტყველებაზე დიდ პრობლემას წერა წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო ნაკლებად მოთხოვნადი

ხდებოდა ბეჭდური მედია, მაინც შეინიშნებოდა ტენდენცია, რომ ბეჭდური მედია იჩაგრებოდა. მან დაამატა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყო წერა ცალკე გაზეთისთვის და ცალკე ჟურნალისთვის. სწავლების მეორე წელი მირითადად წერას ეთმობოდა.

ხათუნა თოდამემ განაცხადა, რომ წერით მეტყველებას ვერ დააკომპექსირებდნენ და ზოგიერთ ჟურნალისტს ლოგოპედიც სჭირდებოდა, რის გამოც, მისი აზრით უნდა გაეფართოვებინათ ენის სწავლების კომპონენტი.

დალი ოსეფაშვილმა უპასუხა, რომ ქართული ენა მხოლოდ 5 კრედიტით არ იყო წარმოდგენილი. ქართული ენა ისწავლებოდა ცალკე, ასევე პროგრამა ითვალისწინებდა მეტყველების კულტურის კურსსა და საოპერატორო ხელოვნებას, ანუ ჯამში 15 კრედიტის.

ქეთევან თოდამის მოსაზრებით, არც 15 კრედიტი იყო საკმარისი. საბჭოს წევრი, ანა ფირცხელაშვილი დაინტერესდა ქართული ენის ცოდნის რა დონით ირიცხებოდნენ უცხოენოვანი სტუდენტები.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ შესაძლოა ჩაებარებინა B1 - ით, მაგრამ პროგრამის დასრულებისას უნდა ჰქონოდა B2.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ პროგრამაში საჭიროა გაძლიერებულიყო ქართული ენა და მეტყველება.

საბჭოს წევრმა, მაკა ლაშეიამ დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით მიმართა, როგორ ხდებოდა პრაქტიკის ხელმძღვანელობა.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ პროფესიულ პრაქტიკას დიდი ნაწილი ეთმობოდა, საბაკალავრო პროექტის სახით, სტუდენტები წარმოადგენდნენ პრაქტიკის დროს შექმნილ ჟურნალისტურ ნაწარმს. სილაბუსში გაწერილი იყო დაწვრილებით კომპონენტები. რედაქციაში თითოეულ სტუდენტს ჰყავდა მენტორი, უნივერსიტეტის მხრიდან კიდევ ემატებოდა პრაქტიკის ხელმძღვანელი. 60 ქულას წერდა მენტორი, შემდეგ ხდებოდა შექმნილი პროექტის დაცვა, სადაც სტუდენტს უნდა გამოეტანა 3 საუკეთესო ნამუშევარი. მან დაამატა, რომ მენტორი ანაზღაურებას არ იღებდა.

საბჭოს წევრი, სალომე თოთიბაძე, დაინტერესდა, როგორ ხდებოდა ჯგუფების გადანაწილება უცხო ენაზე იმ შემთხვევაში, როდესაც ინგლისური ენა სტუდენტმა სრულყოფილად იცოდა.

უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა, ეკა ფიფიამ განაცხადა, რომ პროგრამა ითვალისწინებდა პროფესიულ ინგლისურს 10 კრედიტის მოცულობით. რაც შეეხებოდა სხვა ენების ცოდნას, ამის შემოწმება ხდებოდა შესაბამისი ტესტებით, ან საერთაშორისო სერტიფიკატით შეიძლებოდა დადასტურება. უცხოელი სტუდენტის შემთხვევაში, ვინც A1 დონეზე მოხვდებოდა, 20 კრედიტის სახით იყო გათვალისწინებული ქართული ენის სწავლება პროგრამის პარალელურად.

საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ ექსპერტებს მიმართა კითხვით, რას გულისხმობდნენ რეკომენდაციაში, სადაც ითხოვდნენ სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობის მიღებას.

ექსპერტმა, ხათუნა კაჭარავამ უპასუხა, რომ უურნალისტებისთვის ხშირად იმართებოდა კონფერენციები. ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სულ 3 სტუდენტს ჰქონდა მიღებული მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში და რჩევა იყო, გაზრდილიყო მათი რაოდენობა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ ყველა სტანდარტის შეფასება იყო როგორც სრული შესაბამისობა, ამასთან, ექსპერტებს ეწერათ ბევრი რჩევა და საუკეთესო პრაქტიკაში გამოტანილი იყო ისეთი საკითხები, რაც ბევრ უნივერსიტეტში არსებობდა, სწორედ ეს იყო მიზეზები, რის გამოც უჩნდებოდა შეკითხვები.

ექსპერტმა, ნინო მახვილაძემ განაცხადა, რომ პრაქტიკაში საგნების არჩევა ისე ხდებოდა, როგორც მიზანშეწონილი იყო, უბრალოდ გასაწერი იყო მეტი სიცხადისთვის ის, თუ როგორც ხორციელდებოდა ეს რეალურად.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მაგდა მემანიშვილმა აღნიშნა, რომ საუკეთესო პრაქტიკა გამოიხატებოდა იმაში, რომ პროგრამაში ასწავლიდნენ მოქმედი მედიამენეჯერები. მათი დათანხმება ძალიან ძნელი იყო მძიმე გრაფიკისა და ფინანსური ინტერესის არქონის გამო. ამ სამუშაოზე დაიხარჯა 2-3 წელი და ნამდვილად წარმოადგენდა კარგ მაგალითს. პროგრამის ნიშა იყო პრაქტიკული უურნალისტიკა. მან დაამატა, რომ საერთაშორისო კონფერენციებთან დაკავშირებულ რჩევას ეთანხმებოდა და გაითვალისწინებდნენ, ასევე ფოტოურნალისტიკის კურსს ჩამოიტანდნენ პროგრამაში უფრო ადრე.

19:47 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. სხდომა განახლდა 19:57 საათზე.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ საჭირო იყო დარგის ექსპერტის მოწვევა, რადგან საბჭოს შემადგენლობაში არ შედიოდა ამ მიმართულების სპეციალისტი. შესაბამისად, საკითხი გადაიდო და განიხილებოდა უახლოეს სხდომებზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 20:00 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე



ქეთევან ქოქრაშვილი



მდივანი

სალომე თოთიბაძე

